

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ელიტმოტორსის“ დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს

მოდიფიცირებული (პირობითი) მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ელიტმოტორსის“ (შემდგომში - „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ყველა მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი მოსაზრებით, გარდა ქვეთავში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხებისა, შპს-ის „ელიტმოტორსის“ ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ შევისწავლეთ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია და ვასკვნით, რომ წარმოდგენილი საკითხები არსებითია მაგრამ არა ყოვლისმომცველი.

კერძოდ:

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დაგვნიშნეს 2020 წლის 31 დეკემბერს. წინა პერიოდებში კომპანიას არ ჩაუტარებია ფინანსური აუდიტი. შესაბამისად სრულად ვერ დავაკვირდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებული მარაგების და ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციას:

- 1) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი უფიქსირდება - 5829002 ლარის. ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 6768923 საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით ასეთი მოცულობის მარაგებზე სათანადო პროცედურების ჩატარება შესაბამისად, ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები. გამომდინარე აქედან ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხელ მარაგებთან დაკავშირებით.
- 2) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების ნაშთი უფიქსირდება - 625565 ლარის. ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 503372 ლარს. ჩვენ ვერ შევძელით ასეთი მოცულობის მარაგებზე სათანადო პროცედურების ჩატარება შესაბამისად, ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი

მტკიცებულებები. გამომდინარე აქედან ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხელ მარაგებთან დაკავშირებით.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება - ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 2.2 შენიშვნაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ კომპანიამ მიიღო წმინდა ფინანსური მოგება, მას უფიქსირდება დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები და მომავალში საოპერაციო საქმიანობის გაგრძელების, აღებული მოვალეობების შესრულებისა და საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულების დაფარვა დამოკიდებული არ არის დამატებითი ფინანსების მოზიდვაზე. დამატებით, როგორც ეს გაშიფრულია მე-16 შენიშვნაში, კომპანიის საქმიანობაზე გავლენა მოახდინა ახალი კორონავირუსის (COVID-19) ეპიდემიურმა აფეთქებამ, რომელიც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში გამოაცხადა გლობალურ პანდემიად.

მოცემული ფაქტები მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არ არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ექვს დაბადებდა კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს რაიმე კორექტირებას, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს აღნიშნული განუსაზღვრელობით.

ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებულია ამ საკითხთან მიმართებით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვს ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

შპს „ანდრე აუდიტი“-ის სახელით

სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-934401

ზაზა მჭედლიშვილი

SARAS-A-863342



თბილისი, საქართველო

10 დეკემბერი 2021 წ.

შპს „ელემენტორის“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრისთვის

	კორექტირებული		
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3007310	2678027	1713106
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2473421	2698515	1079098
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	272406	73363	65300
მარაგები	6768922	5829001	6463998
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	6768922	5829001	6463998
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	66553	24438	14761
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	4218	4245	4863
ძირითადი საშუალებები	503372	625565	666702
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	927636	949998	123312
სულ აქტივები	14023838	12883152	10131140
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	2546665	4134565	2816077
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	1136345	242596	221194
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	80711	186944	90909
სულ ვალდებულებები	3763721	4564105	3128180
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	4000	4000	4000
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0

გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	10089392	8260227	6958096
გადაფასების რეზერვი	166725	54820	40864
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	10260117	8319047	7002960
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	14023838	12883152	10131140
სულ მოკლევადიანი აქტივები	12588612	11303344	9336263
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	3763721	4564105	3128180

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2021 წლის 25 ნოემბერს დირექტორის მიერ:

დირექტორი

ზვიად ანთელიძე



შპს „ელიტმოტორსის“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

		კორექტირებული
საქმიანობის შედეგები	31/12/2020	31/12/2019
ნეტო ამონაგები	19458107	21700020
საქონლის გაყიდვიდან	18603931	21029350
მომსახურების გაწევიდან	854176	670670
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-15657967	-18211801
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	3800140	3488219
სხვა საოპერაციო შემოსავალი	1304267	1175204
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1047315	-950830
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-155615	-165290
საპროცენტო შემოსავალი	195343	15082
საპროცენტო ხარჯი	-237270	-243790
იჯარის ხარჯი	-146901	-138362
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-534731	-771160
სულ საოპერაციო ხარჯები	-622222	-1079146
საოპერაციო მოგება	3177918	2409073
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-111906	-13955
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-39888	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-121968	-160977
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	85008	164886
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	2989164	2399027
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	2989164	2399027
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	2989164	2399027
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	8319047	7002960

ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-1160000	-1081054
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	111906	-1886
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	10260117	8319047

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2021 წლის 25 ნოემბერს დირექტორის მიერ:

დირექტორი

ზვიად ანთელიძე



შპს „ელიტმოდტორის“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

	კაპიტალი	სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 31/12/2018	4,000		5,939,547	5,943,547
ახალი ან განახლებული სტანდარტების მიღების ეფექტი		40,865	1,018,559	
გამოვლენილი შეცდომების შესწორების ეფექტი			(10)	
დაკორექტირებული ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 31/12/2018	4,000	40,865	6,958,096	7,002,961
მოგება / (ზარალი)			2,399,024	
დივიდენდის გამოცხადება			(1,081,053)	
სხვა (მოგების გადასახადი)			(15,841)	
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 31/12/2019	4,000	40,865	8,260,227	8,305,092
ახალი ან განახლებული სტანდარტების მიღების ეფექტი		13,955		
დაკორექტირებული ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისთვის - 01/01/2019	4,000	54,820	8,260,227	8,305,092
მოგება / (ზარალი)			2,989,165	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)		111,906		
დივიდენდის გამოცხადება			(1,160,000)	
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 31/12/2020	4,000	166,725	10,089,392	10,260,117

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2021 წლის 25 ნოემბერს დირექტორის მიერ:

დირექტორი

ზვიად ანთელიძე



შპს „ელიტმორსის“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2020	31/12/2019
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	1380936	-1578135
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-1297597	4074405
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-90239	-1470740
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-6900	1025530
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	336183	-60609
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2678027	1713106
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3007310	2678027

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2021 წლის 25 ნოემბერს დირექტორის მიერ:

დირექტორი

ზვიად ანთელიძე



შპს „ელიტმოტორსი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ელიტმოტორსი“ (შემდგომში - კომპანია) დაარსებულია 01.07.2008 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია საიდენტიფიკაციო კოდით 205258228. კომპანიის იურიდიული მისამართი საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, კანდელაკის ქ., #8ბ, ბ. 48; ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, მცხეთის რაიონი, სოფელი წიწამური.

კომპანია ახორციელებს მძიმე სამშენებლო ტექნიკის, სპეც. ტექნიკისა და მათი მარაგაწილების იმპორტსა და რეალიზაციას, აგრეთვე არწიშნული ტექნიკის ტექმომსახურებას. ამ ინდუსტრიაში კომპანია საქმიანობას ახორციელებს 2008 წლიდან და მომხმარებლების ძირითადი ნაწილი სამშენებლო საქმიანობაში დაკავებული კომპანიებია.

საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორებია: ივანე რუაძე (50% წილის მფლობელი) და გიგა ქათამაძე (50% წილის მფლობელი)

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 25 ოქტომბერს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის მიერ პირველად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოშვებული „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს)“ შესაბამისად. ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარმოდგენილი წლისთვის თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2.1 მომზადების საფუძვლები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოშვებული „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის“ (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის მიერ მომზადებულ პირველ ფინანსურ ანგარიშგებას. შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების საწყისი ნაშთის მომზადებისას კომპანიას არ გაუკეთებია კორექტირება. კომპანიის გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი. კომპანიამ მსს ფასს-ზე გადასვლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მოამზადა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიამ გამოიყენა ყველა სავალდებულო მაგრამ, არ გამოუყენებია არცერთი ნებადართული განთავისუფლება.

კომპანია აღრიცხვას აწარმოებს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების შედგენა საჭიროებს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. გარდა ამისა, საჭიროებს ხელმძღვანელობის მხრიდან განსჯასა და გადაწყვეტილების მიღებას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ინფორმაცია ისეთი სფეროების შესახებ, რომლებიც განსაკუთრებით რთულია, ან მაღალი დონის განსჯა ესაჭიროება, ან სადაც გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვანია მოცემული ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-3 შენიშვნაში.

შპს „ელემენტორის“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.2 ფუნქციონირებადი საწარმო

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის კომპანიის მიერ მიღებულმა წმინდა მოგებაშეადგინა 2,989,164 ლარი და ამ თარიღისათვის კომპანიას უფიქსირდება 10,260,117 ლარის დადებითი კაპიტალი.

2.3 უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხების გადაყვანა

(ა) ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

(ბ) გატარებები და ნაშთები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გატარებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც უკავშირდება მიღებულ სესხებს და ფულს და ფულის ეკვივალენტებს წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში 'წმინდა ფინანსური ხარჯი' მუხლში. ყველა სხვა კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება-ზარალი წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში 'სხვა წმინდა შემოსავალი/(ხარჯი)' მუხლში.

2.4 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღარიბოში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. ბანკის ოვერდრაფტი მოცემულია სესხების მიმდინარე ვალდებულებების ნაწილში.

სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდი ფულისა და ფულის ეკვივალენტებში და აისახება როგორც 'ფინანსური ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები'.

2.5 სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

2.6 მარაგები

მარაგები ასახულია თვითღირებულებით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. გაუფასურების ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2.7 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც

შპს „ელიტმოდორის“

ფინანსურ რეანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

საწარმოს მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა არ ერიცხება. სხვა აქტივებს ცვეთა იმგვარად ერიცხება, რომ აქტივების თვითღირებულება, ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, განაწილდეს მათ შეფასებულ სასარგებლო მომსახურების ვადაზე, კერძოდ, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ქვემოთ:

	მომსახურების ვადა (წლები)
ავტოტრანსპორტი	7-10
მანქანა-დანადგარები და სპეცინვენტარი	3-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-15

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდები იმ შემთხვევაში გადაიხდება და პერსპექტიულად დაკორექტირდება, თუ არსებობს ნიშანი იმისა, რომ ისინი მნიშვნელოვნად შეიცვალა ბოლო საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე მისი შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა და ზარალი განისაზღვრება შემოსულობის შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.8 სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურება, გარდა მარაგებისა

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხდება ცვეთადი და ამორტიზებადი აქტივების შეფასება იმის დასადგენად, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი მათი გაუფასურების. თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ ესა თუ ის აქტივი შესაძლოა გაუფასურებული იყოს, შემოწმდება ამ აქტივის (ან იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც მოცემული აქტივი განეკუთვნება) საბალანსო ღირებულება გაუფასურებაზე. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ ოდენობით, რომლითაც მისი საბალანსო ღირებულება მცირდება.

2.9 მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (გამსესხებლისთვის გადასახდელი ფულის რაოდენობის მიმდინარე ღირებულება, გარიგების ხარჯების ჩათვლით). მიღებული სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და წარდგენილია ფინანსურ ხარჯებში.

სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები თუ კომპანიას არ აქვს უპირობო უფლება საანგარიშგებო თარიღის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადაავადოს ვალდებულება.

სესხის მიღების ყველა ხარჯი აღიარებულია იმ პერიოდის მოგება/ზარალში, როდესაც მოხდა ხარჯის გაწევა.

2.10 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით და შემდგომში შეფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

2.11 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალის ცვლილება, მფლობელობა, ა.შ.) ხორციელდება მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალში შენატანები

შპს „ელემენტორის“

ფინანსურ რეგულირების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

აღირიცხება რეალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

2.12 ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში საქონლის გაყიდვისთვის მიღებული ან მისაღების ანაზღაურების რეალურ ღირებულებას. ამონაგები ნაჩვენებია დამატებული ღირებულების გადასახადის, დაბრუნებული საქონლის ღირებულების, კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო და სხვა სახის ფასდათმობების გარეშე.

კომპანია მაშინ აღიარებს ამონაგებს, როდესაც: შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება; მოსალოდნელია, რომ კომპანიაში შემოვა მომავალი ეკონომიკური სარგებელი; და დაკმაყოფილებულია კომპანიის თითოეული საქმიანობისთვის შესაფერისი სპეციფიკური კრიტერიუმები, როგორც აღწერილია ქვემოთ:

(ა) საქონლის რეალიზაცია

კომპანია აწარმოებს მძიმე სამშენებლო ტექნიკის, სპეც. ტექნიკისა და მათი მარაგანაწილების იმპორტს და ყიდის ფიზიკურ პირებსა და სამრეწველო მომხმარებლებზე. შემოსავალი საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან აღიარდება, როდესაც კომპანია მყიდველს მიაწვდის პროდუქციას, გადასცემს სრულ უფლებას პროდუქციაზე და არ არსებობს შეუსრულებელი ვალდებულება, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ პროდუქციის მიღებაზე. საქონელი მიწოდებულად არ ჩაითვლება იქამდე, სანამ არ მოხდება პროდუქციის მიტანა კონკრეტულ ადგილამდე და დაძველებისა და დანაკარგის რისკი არ გადავა მყიდველზე, ან სანამ მყიდველი არ ჩაიბარებს პროდუქციას გაყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად ან საქონლის ჩაბარების ვადა არ გავა ან სანამ კომპანიას არ ექნება ობიექტური მტკიცებულება, რომ აღიარების ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ბ) მომსახურების მიწოდება

კომპანია უზრუნველყოფს მძიმე სამშენებლო ტექნიკისა და სპეც. ტექნიკის სერვისს. მომსახურების მიწოდების ღირებულებიდან ამონაგების აღიარება ხორციელდება დამკვეთის მიერ გაწეული მომსახურების დადასტურების შემდგომ, ან რეკლამაციის შემთხვევაში დეფექტის აღმოფხვრის შემდგომ.

(გ) საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

2.13 ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

2.14 დაბეგვრა

მოგების გადასახადის ესტონური მოდელის არსი მდგომარეობს იმაში, რომ გადაავადოს მოგების გადასახადის გადახდის დრო წმინდა მოგების განაწილებამდე. ეს მოდელი ზრდის თანხების ხელმისაწვდომობას და ხელს უწყობს გამოქვეყნებული თანხის რეინვესტირებას კომპანიებში. მოგების გადასახადი განაკვეთი არის 15% (ტექნიკურად 15%/85% გამოყენებული იქნება დაბეგვრის ობიექტად).

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დასაბეგრი ოპერაციებია:

- გადახდილი დივიდენდი
- სხვაობა საკონტრაქტო ფასსა და საბაზრო ფასს შორის
- ხარჯები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან

შპს „ელემენტორის“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

- საჩუქრები და უფასო მიწოდება
- წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აღემატება ლიმიტს

საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

მოგების გადასახადის გარდა გადასახადები აღიარდება მაშინ, როცა ადგილი აქვს დასაბეგრ მოვლენას. დასაბეგრი მოვლენა არის მოვლენა რომელიც წარმოშობს გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები დაიანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

2.15 ფინანსური იჯარა

2020 წელს პირველად ხორციელდება ფინანსური იჯარის წარდგენა მსს მე-20 მუხლის შესაბამისად. ფინანსური იჯარით მიღებული აქტივები ასახულია ამორტიზაციის გათვალისწინებით, რაც წინა პერიოდის ამორტიზაციის საფუძველი გახდა.

ფინანსური იჯარით გაცემული აქტივები ასახულია მსს 20.21. მუხლის შესაბამისად, როგორც დილერი მეიჯარის მიერ განხორციელებული ფინანსური იჯარა. წარდგენა განხორციელდა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, რვა პროცენტზე გაანგარიშებით. დისკონტის ხარჯი აისახა ხარჯებში და სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გადაფასების რეზერვში.

აღნიშნულ სტანდარტზე გადასვლამ გამოიწვია წინა საანგარიშგო პერიოდების დაკორექტირება ამონაგების, რეზერვების, მოთხოვნა-ვალდებულებების ცვლილებით და ადრე წარდგენილი საინვესტიციო ქონების გაუქმებით.

2.16 საოპერაციო იჯარა

სადაც კომპანია არის მოიჯარე, იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. საიჯარო გადასახდელებს კომპანია აღიარებს საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის მიხედვით.

2.17 გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოხსენებული თანხები ურთიერთაღივალოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

2.18 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე განვითარებული მოვლენები, რომლებიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ გაშიფრულია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან.

ამონაგების აღიარება

შპს „ელიტმოტორსის“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

ამონაგები აღიარდება კომპანიის მიერ მომხმარებლისთვის საქონლის გადაცემისას. საქონლის დაბრუნების უფლებით გაფორმებული კონტრაქტის შემთხვევაში, ამონაგები აღიარდება იმ თანხით, რომელზეც მოსალოდნელია, რომ არ მოხდება საქონლის უკან დაბრუნება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებები ცვდება განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია ხელმძღვანელობის შეფასებაზე აქტივის გამოყენების შედეგად მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებელის მიღების პერიოდთან დაკავშირებით. აღნიშნული შეფასება პერიოდულად გადაიხედება. შეფასებების ცვლილებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენას იქონიოს აქტივების საბალანსო ღირებულებასა და შესაბამისი პერიოდების ცვეთის ხარჯზე. დამატებითი ინფორმაცია ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

4. ძირითადი საშუალებები და გრძელვადიანი აქტივები

	ძირითადი საშუალებები	2020	2019	2018
2150	მანქანა-დანადგარები	299096.9	298295.37	298155.54
2155	სპეც.ინვენტარი და ინსტრუმენტები	95215.32	94622.78	84707.87
2156	სპეც.ინვენტარი და ინსტრუმენტები (ბათუმი)	4279.66	4279.66	0
2160	ოფისის აღჭურვილობა (1000 მდე)	31163.95	26767.81	24729.68
2161	ოფისის აღჭურვილობა (1000 მდე) (ბათუმი)	1435.03	685.03	0
2170	ავეჯი და სხვა ინვენტარი	88472.56	75034.09	60737.9
2171	ავეჯი და სხვა ინვენტარი (ბათუმი)	23184.69	23184.69	0
2180	სატრანსპორტო საშუალებები	446924.61	456385.84	445067.94
2190	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	82773.38	80823.3	67821.77
2191	სხვა ძირითადი საშუალებები	8264.4	8264.4	8264.4
2192	სხვა ძირითადი საშუალებები (ბათუმი)	7065.58	7065.58	0
2195	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა (ბათუმი)	2016.34	2016.34	0
				-
2250	მანქანა-დანადგარების ცვეთა	-219876.24	-175336.09	130252.66
2255	სპეც.ინვენტარი და ინსტრუმენტები	-72683.13	-59449.52	-47476.26
2256	სპეც.ინვენტარი და ინსტრუმენტების ცვეთა (ბათუმი)	-752.13	-304.18	0
2260	ოფისის აღჭურვილობის ცვეთა (1000 მდე)	-20975.03	-16318.85	-11742.72
2261	ოფისის აღჭურვილობის ცვეთა (1000 მდე) (ბათუმი)	-332.75	-61.6	0
2270	ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა	-55581.35	-43078.29	-32857.1
2271	ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა (ბათუმი)	-5466.9	-2178.58	0
2280	სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა	-161175.7	-122161.32	-82175.91
2290	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყ. ცვეთა	-42406.4	-28172.02	-15446.73
2291	სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა	-4913.8	-3971.86	-2831.58
2292	სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა (ბათუმი)	-1785.5	-659.82	0
2295	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის ცვეთა (ბათუმი)	-571.3	-168.03	0
	ჯამი	503372.19	625564.73	666702.14

5. არამატერიალური აქტივები

	სხვა არამატერიალური აქტივები	2020	2019	2018
2590	სხვა არამატერიალური აქტივები	10536.37	9926.2	9926.2
2690	სხვა არამატერიალური აქტივების ამორტიზაცი	-6317.88	-5681.11	-5063.58
	ჯამი	4218.49	4245.09	4862.62

6. გრძელვადიანი აქტივები

	სხვა გრძელვადიანი აქტივები	2020	2019	2018
2320	ფინანსურ იჯარასთან დაკავშირ. მოთხოვნები	52673.84	162041.95	123312.54
2321	ფინანსურ იჯარასთან დაკავშირ. მოთხოვნები გაცემა	872601.41	760477	0
	ჯამი	925275.25	922518.95	123312.54

7. მარაგები

	მოკლევადიანი მარაგები	2020	2019	2018
1614	საქონელი 2	6766542.87	5826018.1	6461560.13
1620	ნედლეული და მასალები	0	0	248.08
1690	სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	2329.92	2933.47	2110.2
1692	სხვადასხვა საქონელი	50	50	50
1693	აფთიაქი	0	0	30.11
	ჯამი	6768922.79	5829001.57	6463998.52

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2020	2019	2018
1410	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1426314.57	1540745.29	792738.6
1411	განვადება	353480.84	284327.55	44509.77
1412	ლიზინგი	224522.47	486796.46	130117.22
1413	თანამონაწილეობა	468089.67	386645.66	111732.4
1490	სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1013.75	0	0
	ჯამი	2473421.301	2698514.962	1079097.99

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2020	2019	2018
1110	ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	2060.48	28719.28	12139.72
1111	სალარო ბათუმი	906	1948.96	0
1210	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	377985.85	266617.79	482627.89
1220	უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2626357.35	2380740.85	1218338.74
	ჯამი	3007309.68	2678026.88	1713106.35

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	სავაჭრო ვალდებულებები	2020	2019	2018
3110	მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	-2501951.4	-4076570.58	-2762578.51
3190	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	-44714.09	-57994.8	-53497.9
	ჯამი	-2546665.49	-4134565.38	-2816076.41

11. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	2020	2019	2018
3130	გადასახდელი ხელფასები	-637.5	0	0
3310	გადასახდელი მოგების გადასახადი	-21696.71	-30582.42	-27122.06
3320	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	-14181.57	-25355.45	-23000.2
3330	გადასახდელი დღგ	-8289580.56	-5960291.46	-3384020.03
3340	გადახდილი დღგ	8254672.41	5834698.39	3367670.74
3380	ქონების გადასახადი	-4.59	0	-24437.7
3490	სხვა დარიცხული ვალდებულებები	-8478.15	-5413.13	0
	ჯამი	-79906.67	-186944.07	-90909.25

12. გამოუმუშავებელი შემოსავალი

	გამომუშავებელი შემოსავალი	2020	2019	2018
3120	მიღებული ავანსები	-1136344.65	-242595.83	-221194.13

13. სხვა საგადასახადო აქტივი

	სხვა საგადასახადო აქტივი	2020	2019	2018
1485	გადახდილი ავანსები	66552.5	24437.7	14760.5

14. სხვა მხარეებზე ავანსებად გაცემული ფულადი სახსრები

	სხვა მხარეებზე ავანსებად გაცემული ფულადი სახსრები	2020	2019	2018
1480	მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	272405.8	73362.98	65299.82

15. სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გადაფასების რეზერვი

	სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გადაფასების რეზერვი	2020	2019	2018
5490	სხვა რეზერვები და დაფინანსება	-166725	-54819.575	-40864.58

16. ამონაგები

	ამონაგები	2020	2019
6110	შემოსავალი რეალიზიციიდან	-17316240.3	-20359866.21
6112	დღგ-თ დაუბეგრავი რეალიზაცია	-2173066.84	-1348638.76
6120	გაყიდული საქ. დაბრუნება და ფასდათმობა	31200.03	8484.94
	ჯამი	-19458107.11	-21700020.03

17. სხვა საოპერაციო შემოსავალი

	სხვა საოპერაციო შემოსავალი	2020	2019
8112	სხა საოპერაციო შემოსავალი	-1304267	-1175204

18. იჯარის ხარჯი

	იჯარის ხარჯი	2020	2019
7420	საიჯარო ქირა	146900.87	138361.81

19. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)

	სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	2020	2019
7491	ჩაუთვლელი დღგ	2968	18593
8130	არასაოპერაციო მოგება	0	-9
8190	სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	-95047	-194057
8290	სხვა არასაოპერაციო ხარჯები	0	4119

9110	განსაკუთრებული შემოსავლები	-12714	-15724
9115	დახმარება	0	270
9121	აუნაზღაურებელი მოთხოვნები	17473	21743
9212	ჯარიმები	2312	179
	ჯამი	-85008	-164886

20. გაყიდვების თვითღირებულება

	გაყიდვების თვითღირებულება	2020	2019
7112	ზარალი ჩამოფასებიდან	13307	0
7114	ბ/გ ხარჯი	0	4889
7115	ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	0	7800
7140	დამხმარე მასალების დანახარჯები/შეძენა	82845	86377
7210	გაყიდული/შეძენილი საქონელი	15499328	18010070
7212	სათადარიგო ნაწილებისა და დამხმარე მასალების ჩამოწერები	32554	21960
7213	საგარანტიო	41103	88333
7220	შეძენილი საქონ. უკან დაბრ. და ფასდათმობა	-11170	-7628
	ჯამი	15657967	18211801

21. ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი

	ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	2020	2019
7455	ცვეთა და ამორტიზაცია	155615.4	165290.47

22. არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა

23. ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა

	ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	2020	2019
9214	ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	111906	13955

24. საპროცენტო ხარჯები

8210	საპროცენტო ხარჯები	237270	243790
------	--------------------	--------	--------

25. საპროცენტო შემოსავალი

8110	საპროცენტო შემოსავლები	-195343	-15082
------	------------------------	---------	--------

26. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან

	წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		
8140	კონვერტაციიდან მოგება	-10	-5
8180	საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება	-334333	-131222
8185	მოგება გადაფასებიდან	-838092	-125527
8240	კონვერტაციიდან ზარალი	123109	75106
8280	საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი	193608	70077
8285	ზარალი გადაფასებიდან	977686	272548
	ჯამი	121968	160977

27. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი

	დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი	2020	2019
7410	შრომის ანაზღაურება	905413.06	773342.16
7412	პრემია	141775.19	176487.68
7416	ტრენინგი	127.12	1000
	ჯამი	1047315.37	950829.84

28. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

ა	კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	2020	2019
7145	ბუნებრივი აირი	8656.11	7480.69
7197	ელექტროენერგია	27661.71	22348.94
7198	წყალი	33.92	66.37
7430	კომუნიკაციის ხარჯები	20718.37	22186.4
	ჯამი	57070.11	52082.4

ბ	სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	2020	2019
7310	რეკლამის ხარჯები	2714.68	11.3

გ	საკონსულტაციო ხარჯი	2020	2019
7450	საკონსულტაციო ხარჯები	13260.48	15428.88

დ	ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	2020	2019
---	-------------------------------------	------	------

7211	საწვავის დანახარჯი	83443.65	110930.37
7340	ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	29939.25	28189.35
	ჯამი	113382.9	139119.72

ე	საგადასახადო ხარჯი	2020	2019
7465	სხვა საგადასახადო ხარჯი	47013.59	0

	ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	2020	2019
7214	საზღვარგარეთ გაწეული მომსახურება ბ/გ	0	36521.47
7425	საოფისე ინვენტარი	2592.88	3178.64
7435	დაზღვევა	22272.79	26548.93
7440	რემონტი	17195.22	29193.47
7445	კომპიუტერის ხარჯები	7643.17	7075.67
7490	სხვა საერთო ხარჯი	227494.1	427703.9
9111	მიკრო ბიზნესი	102.76	393
9120	განსაკუთრებული ხარჯები	2822.39	12619.59
9213	არარეზიდენტის საშემოსავლო	21165.93	21283.14
	ჯამი	301289.24	564517.81

სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	534731	771160.11
--	--------	-----------

29. არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა

არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	2020	2019
არასაოპერაციო ზარალი	47393	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	-7505	0
ჯამი	39888	0

30. იჯარის ხარჯი

	იჯარის ხარჯი	2020	2019
7420	საიჯარო ქირა	146900.87	138361.81

31. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კორონავირუსის გავრცელების შესაძლო ეფექტი

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონავირუსი (COVID-19). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო გარკვეული შემთხვევების შესახებ 2019 წლის

31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ კორონავირუსი, როგორც გლობალური საფრთხე შეაფასეს მხოლოდ 2020 წლის 31 იანვარს, რადგან ვირუსის მნიშვნელოვანი განვითარება-გავრცელება არ მომხდარა 2020 წლის იანვრამდე.

2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსული დაავადების სწრაფად გავრცელების გამო, პანდემია გამოაცხადა.

2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ ვირუსის - კოვიდ-19-ის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყნის მასშტაბით გამოცხადდა საგანგებო ვითარება. 2020 წლის 31 მარტიდან კი ამოქმედდა საყოველთაო კარანტინი, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილება და სხვადასხვა სექტორის ეკონომიკურ საქმიანობაზე დაწესდა მთელი რიგი შეზღუდვები.

ვირუსმა შესაძლოა ბევრ ინდუსტრიაზე მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა შემდგომი მიზეზების გამო:

- საქონელსა და მომსახურებაზე მომხმარებლის მოთხოვნის შემცირება, დაკარგული შემოსავალი, მომხმარებელთა თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვის გამო
- კაპიტალური ინვესტიციების ნაკლებობა, მშენებლობების შემცირება, მომხმარებელთა მოთხოვნილებების შემცირების გამო პროდუქტებსა და მომსახურებაზე
- ფინანსურ აქტივებზე საბაზრო ფასების შემცირება, კაპიტალისა და სავალო ინსტრუმენტების ჩათვლით
- გლობალური მიწოდების ქსელის მოშლა, ადამიანებისა და ტვირთების გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების გამო.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის ვირუსის ზუსტი ეფექტის განსაზღვრა კომპანიის ხელმძღვანელობისთვის შეუძლებელია.

დროის მიმდინარეობასთან ერთად ვირუსის განვითარებისა და გავლენის ცვალებადობასთან დაკავშირებით იქნება მეტი სიცხადე.

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2021 წლის 25 ნოემბერს დირექტორის მიერ:

დირექტორი

ზვიად ანთელიძე

